საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #37

2020 წელი 26 ივნისი 13 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, ნ.რუხაძე,
ფ.ინჯია, ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე,
ქ.ჯოხაძე ო.გრიგოლია

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, თბილისის სატრანსპორტო კომისიის წარმომადგენელი დავით ჯაიანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნინო ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მოისმინეს:

ქ.თბილისის თბილისის სატრანსპორტო კომისიის წარმომადგენელმა დავით ჯაიანმა ისაუბრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულებაზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრიქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით 2020 წლის 29 აპრილს ხელი მოეწრა შეთანხმებას სესხზე 75,000.000 (სამოცდათხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობით, რომელიც მიზნად ისახავს დედაქალაქში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში თბილისის მეტროპოლიტენისათვის მოძრავი შემადგენლობის შეძენას და მეტროს დეპოს მშენებლიბას/რეკონსტრუქციას და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაციას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გადასცემს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ თანხას 75,000.000 (სამოცდათხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობით სესხის სახით ქვესასესხო ხელშეკრულების საფუძველზე.

აზრი გამოთქვეს:

ნ.ლაცაბიძემ, ო.გრიგოლიამ, ნ.რუხაძემ.

დავით ჯაიანმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

დაადგინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების

მიერ მოწონებული იქნა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე